

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!





➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-20

ინსტრუქცია


თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რომელი ქალაქის მეტეოროლოგიური მონაცემებია დატანილი გრაფიკებზე?



- ა. სოხუმის
- ბ. ბათუმის
- გ. თბილისის
- დ. თელავის

2. რომელ ჩამონათვალშია ქალაქები დალაგებული ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის კლების მიხედვით?



- ა. ქარელი, ბორჯომი, ჯავა, წყალტუბო
- ბ. ბორჯომი, წყალტუბო, ქარელი, ჯავა
- გ. წყალტუბო, ჯავა, ბორჯომი, ქარელი
- დ. ჯავა, ქარელი, წყალტუბო, ბორჯომი

3. დავალებაში მოცემულია დებულებები ამინდისა და კლიმატის შესახებ. რომელი შეესაბამება კლიმატს?

ა. წელს, 24 მარტს, შარშანდელთან შედარებით ბათუმში 13 მმ-ით მეტი ნალექი მოვიდა

ბ. ბათუმში სოხუმთან შედარებით წელიწადში საშუალოდ 1000 მმ-ით მეტი ნალექი მოდის

გ. მომავალი თვიდან ბათუმში მოსალოდნელია ტემპერატურის ანომალურად მკვეთრი დაცემა

დ. შარშან მაქსიმალური ტემპერატურა ბათუმში $+40^{\circ}\text{C}$ დაფიქსირდა

4. რომელი მდინარის ხეობის ნაწილია თრუსოს ხეობა?



ა. არღუნის

ბ. ივრის

გ. თერგის

დ. არაგვის

5. ჩამოთვლილთაგან სად არის დაფიქსირებული ჰაერის მინიმალური ტემპერატურა?


ა. კარწახში

ბ. მესტიაში

გ. ცაგერში

დ. ონში

6. რისი ფორმირების ფაზებია ნაჩვენები ილუსტრაციაზე?



- ა. არქიპელაგის
- ბ. ვულკანის
- გ. ატოლის
- დ. კრატერის

7. ატმოსფეროს რომელ ფენაში მდებარეობს ოზონის შრე?

ა. ტროპოსფეროში

ბ. სტრატოსფეროში

გ. მეზოსფეროში

დ. თერმოსფეროში

8. ჩამოთვლილთაგან რომელი გეოლოგიური პერიოდი იყო უფრო ადრე?


ა. ნეოგენური

ბ. იურული


გ. პერმული

დ. კამბრიული

9. რომელი არ არის ავსტრალიის ენდემი?



10. რომელი სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება რუკაზე მოცემულ არქიპელაგზე?



- ა. დანის
- ბ. ფინეთის
- გ. რუსეთის
- დ. ნორვეგიის

11. ჩამოთვლილთაგან რომელი თემის ახსნისას არის ყველაზე მეტად მიზანშეწონილი მოცემული რესურსის გამოყენება?



- ა. კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგები
- ბ. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების მაგალითები
- გ. ანთროპოგენური საქმიანობის გავლენა გარემოზე
- დ. გეოპოლიტიკური ცვლილებების გავლენა გარემოზე

12. რომელია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უდიდესი ესპანურენოვანი ქალაქი?

ა. სანტიაგო

ბ. მეხიკო

გ. მადრიდი

დ. ბუენოს-აირესი

13. რომელ ჩამონათვალშია საქართველოს სატრანსპორტო კვანძები?

ა. სამტრედია, ხაშური, ფოთი

ბ. თელავი, რუსთავი, ახალციხე

გ. ზუგდიდი, ქობულეთი, სენაკი

დ. გორი, ბათუმი, დედოფლისწყარო

14. ბენზინში რისი მაღალი შემცველობა განაპირობებს ჰაერის დაბინძურების მაღალ დონეს თბილისში?

ა. წყლის

ბ. მძიმე ლითონების

გ. ნახშირის

დ. ეთერზეთების

15. რომელ სახელმწიფოს შეესაბამება ცხრილში მოცემული C გრაფის მონაცემები?

სახელმწიფო	ელექტროენერგიის ექსპორტი (მლრდ. კვტ.)	ელექტროენერგიის იმპორტი (მლრდ. კვტ.)
A	71.43	39.16
B	59.95	11.95
C	0	0
D	11.28	63.61

ა. აშშ-ს

ბ. საფრანგეთს

გ. ავსტრალიას

დ. გერმანიას

16. ჩამოთვლილთაგან რომელი ღონისძიება იქნება, ყველაზე მეტად ეფექტიანი, ღვარცოფული მოვლენების პრევენციისთვის?

ა. მდინარის ჭალაში სეისმომედეგი დაბალსართულიანი შენობა-ნაგებობების მშენებლობა

ბ. მდინარის სათავესთან ჰიდროლოგიური ლაბორატორიების დამონტაჟება

გ. მდინარის ზემო და შუა წელში წყლის ნაკადის მარეგულირებელი დამბების მშენებლობა

დ. მდინარის შესართავის გასწვრივ 1 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის დამცავი ჯებირის აგება

17. რა სახელით არის ცნობილი „ნატოსა“ და „ვარშავის ხელშეკრულების“ ქვეყნებს შორის იდეოლოგიური დაპირისპირება?

ა. ანტისემიტიზმის

ბ. აპარტეიდის

გ. ცივი ომის

დ. რასიზმის

18. რომელი მაჩვენებლის საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქვეყნის სოციალურ გლობალიზაციაზე?

ა. ინტერნეტ-მომხმარებელთა წილით მთელს მოსახლეობაში

ბ. უცხოური პორტფელური ინვესტიციების მოცულობით

გ. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისიების წევრობით

დ. საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობით

19. XXI საუკუნის დასაწყისში რა უქმნიდა ნაოსნობას საფრთხეს სომალის სანაპიროებთან?

- ა. ზღვის ფსკერზე ტექტონიკური პროცესების გააქტიურება
- ბ. საომარი კონფლიქტის შედეგად დარჩენილი წყალქვეშა ნაღმები
- გ. სანაპირო ზოლში ადგილობრივი მეკობრეების თარეში
- დ. გლობალური დათბობის შედეგად გახშირებული ტაიფუნები

20. რომელი სახელმწიფოს ჩქაროსნული მატარებელია გამოსახული ფოტოზე?



- ა. საფრანგეთის
- ბ. ჩინეთის
- გ. თურქეთის
- დ. იაპონიის


➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 21-27

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

ხელსაწყო ფოტო



ხელსაწყო სახელწოდება

1	2	3	4	5	6	7
კურვიმეტრი	ანემომეტრი	ბარომეტრი	სეისმოგრაფი	ჰიგრომეტრი	კომპასი	ნიველირი

22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

ფოტო

<p>ა</p> 	<p>ბ</p> 	<p>გ</p> 
<p>დ</p> 	<p>ე</p> 	<p>ვ</p> 

დაცული ტერიტორია

1	2	3	4	5	6	7
რიწის ნაკრძალი	იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები	კინტრიშის ნაკრძალი	ვაშლოვანის ეროვნული პარკი	თბილისის ეროვნული პარკი	თუშეთის ეროვნული პარკი	კოლხეთის ეროვნული პარკი







23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება არ არის შესაძლებელი):

	I ჩამონათვალი		II ჩამონათვალი
ა	წლის განმავლობაში სახელმწიფოში წარმოებული მთლიანი პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულება	1	ინფლაცია
ბ	სახელმწიფოს ჩაბმულობის ხარისხი მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ პროცესებში	2	ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი
გ	მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება სახელმწიფოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რაოდენობის, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და განათლების დონის მიხედვით	3	საარსებო მინიმუმი
დ	შემოსავლების მინიმალური ოდენობა, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ სახელმწიფოში განსაზღვრული ცხოვრების დონის მისაღწევად	4	მშპ
		5	სამომხმარებლო კალათა
		6	გლობალიზაციის ინდექსი





24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩვენება შესაძლებელია):

	დარგი		მიმართულება
ა	ნიადაგების გეოგრაფია	1	საბუნებისმეტყველო გეოგრაფია
ბ	ლანდშაფტმცოდნეობა	2	საზოგადოებრივი გეოგრაფია
გ	მოსახლეობის გეოგრაფია	3	საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფია
დ	პოლიტიკური გეოგრაფია		
ე	ქვეყანათმცოდნეობა		
ვ	სოციალური გეოგრაფია		
ზ	ლანდშაფტური დაგეგმარება		

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოვრება არ არის შესაძლებელი):


სატელიტური ფოტო							
ა		ბ		გ			
დ		ე		ვ			
ტბა							
1	2	3	4	5	6	7	8
ბალხაში	ზემო	ლადოგის	ტიტიკაკა	მარაკაიბო	ვიქტორია	ტანგანიკა	ბაიკალი

26. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება არ არის შესაძლებელი):

ფოტო					
					
რელიეფის ტიპი					
1	2	3	4	5	6
კარსტული	ეოლური	აბრაზიული	ტექტონიკური	ვულკანური	ეკზარაციული

27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

რუკის ფრაგმენტი



მდინარეები

1	2	3	4	5	6	7
ენგური - ცხენისწყალი	ქსანი - არაგვი	ძირულა - მტკვარი	იორი - ილტო	ყვირილა - ძირულა	ყვირილა - რიონი	სუფსა - ჩოლოქი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

28. (2) ყურადღებით დააკვირდით ფოტოს და უპასუხეთ კითხვებს:

(ა) რა ეწოდება ფოტოზე გამოსახულ ჰაერის დაბინძურების ტიპს?


(ბ) რა არის აღნიშნული დაბინძურების წარმოქმნის ძირითადი მიზეზი?



29. (3) ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:

(ა) რომელ წერტილში იქნება ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა უფრო მეტი, A-ში თუ B-ში?

(ბ) დაასახელეთ ამ განსხვავების გამომწვევი ორი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ფაქტორი.



30. (3) ფოტოებზე გამოსახული მთიანი მასივი მდებარეობს ხევის, ხევსურეთისა და გუდამაყრის საზღვარზე.
განსაზღვრეთ:

(ა) რომელი მთიანი მასივია გამოსახული ფოტოზე?

(ბ) რა სახელით არის ცნობილი მასივის ძირას მდებარე ტბები?

(გ) როგორი წარმოშობისაა ეს ტბები?



31. (9) გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

საქართველოში მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში. აღწერამ ორი რეგიონის გარდა ქვეყნის მთელი ტერიტორია მოიცვა. მესტიისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მთლიანად, ხოლო დუშეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში, მოსახლეობის აღწერა 2014 წლის სექტემბრის თვეში ჩატარდა.

ქვეყნის მთელი მოსახლეობის აღწერა რამდენიმე კვირა გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში სტატისტიკური მონაცემები იცვლება, რაც საერთო სურათის დამახინჯებას იწვევს. ამიტომ, პირობითად ირჩევენ ერთ კონკრეტულ თარიღს, რომელსაც აღწერის კრიტიკული მომენტი ეწოდება. 2014 წელს კრიტიკულ მომენტად განისაზღვრა 5 ნოემბრის (ოთხშაბათი), შუალამის 00 საათი.

ცხრილი 1. მოსახლეობის აღწერის მონაცემები (დამრგვალებული მეთოდებამდე):

წელი	მთლიანი მოსახლეობა (მლნ. კაცი)	ქალაქის (მლნ. კაცი)	სოფლის (მლნ. კაცი)
1959	4.0	1.7	2.3
1979	4.9	2.5	2.4
1989	5.4	2.9	2.5
2002	4.3	2.3	2.0
2014	3.7	2.1	1.6

გადასვლა: [ცხრილ 2-ზე](#); [კითხვებზე](#).

ცხრილი 2. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2002 წელი	2014 წელი	მატება 2002 წელთან შედარებით (%)
თბილისი	1 081 679	1 118 035	3.4
აფხაზეთის ა.რ. ¹	1 956
აჭარის ა.რ.	376 016	336 077	-10.6
გურია	143 357	113 221	-21.0
იმერეთი	699 666	536 052	-23.4
კახეთი	407 182	319 144	-21.6
მცხეთა-მთიანეთი	125 443	94 370	-24.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50 969	31 927	-37.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	466 100	331 145	-29.0
სამცხე-ჯავახეთი	207 598	160 262	-22.8
ქვემო ქართლი	497 530	424 769	-14.6
შიდა ქართლი ²	314 039	264 633	-15.7

გადასვლა: [ცხრილ 1-ზე](#); [კითხვებზე](#).

¹ მოცემულია მხოლოდ დალის ხეობის მონაცემები.

² მონაცემები მოცემულია ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გარეშე.

- 31.1. (1) ცხრილი 1-ის მიხედვით, რომელ წელს იყოს საქართველოში ურბანიზაციის ყველაზე მაღალი დონე?
- 31.2. (1) დაასახელეთ მიზეზი, რის გამოც საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში აღწერა დაახლოებით ორი თვით ადრე ჩატარდა?
- 31.3. (1) რომელი სტატისტიკური მონაცემების დამახინჯებაა გარდაუვალი, როდესაც ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში აღწერა რამდენიმე თვით ადრე ტარდება?
- 31.4. (3) ცხრილი 2-ის მიხედვით დაასახელეთ საქართველოს რეგიონი, სადაც ყველაზე მწვავედ დგას მოსახლეობის დეპოპულაციის პრობლემა? რომელი დემოგრაფიული მაჩვენებლები ახდენს გავლენას აღნიშნულ პრობლემაზე? როგორმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ შეიძლება იქონიოს დადებითი გავლენა აღნიშნულ პრობლემაზე?
- 31.5. (2) ცხრილი 1-ის გამოყენებით ააგეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის ამსახველი ხაზოვანი გრაფიკი.
- 31.6. (1) აღწერეთ 1959-2014 წწ. პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაში არსებული ტენდენციები.

გადასვლა: [ცხრილ 1-ზე](#); [ცხრილ 2-ზე](#).

➤ რუკის ანალიზი - დავალება № 32

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

32. (8) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

32.1. რამდენი მეტრია მ. ჯიმჟას აბსოლუტური სიმაღლე?

ა. 161.3

ბ. 171.3

გ. 224.3

დ. 254,3


32.2. (1) რა თვისობრივი განსხვავებაა ქანორისა და ზენარის ტყეებს შორის?

32.3. (4) გადამამუშავებელი მრეწველობის რომელი დარგებია განვითარებული მოცემულ ტერიტორიაზე? პასუხი დაასაბუთეთ.

32.4. (2) როგორი ტიპის დასახლებული პუნქტია კეთი? პასუხი დაასაბუთეთ.

რელიეფი

ძირითადი პორიზონტალები გავლებულია ყოველ 2.5 მეტრში



- ა) ძირითადი პორიზონტალები
- ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
- გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
- დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
- ე) კალთის დახრის მარკინგები (ბერგშტრიხები)

ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები




სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით
ფლატე (ბეჭი) (3-ხრამის სიღრმე მ-ში)
ყორდანები (2-ყორდანის სიმაღლე მ-ში)

ორმოები (3-ორმოს სიღრმე მ-ში)


ხრამებისა და ღარტაფების სივანე ა) 3-ზე ნაკლები;
ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სივანე ზედაპირთან, 2 სიღრმე მ-ში); გ) 10-ზე დიდი გამოისახება რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიღრმე)

მცენარეული საფარი და ბრუნტი


მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები და კონტურები




წიწვოვანი ტყე



ფართოფოთლოვანი ტყე




შერეული ტყე



ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო სიმაღლე; 0,30 - მერქნის საშუალო სისქე, 5-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ბუნქნარის ვიწრო ზოდები



ცალკეული ფოთლოვანი კორმოები




ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი




ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენტირის მნიშვნელობა



ახალგაზრდა წიწვოვანი (წვილინაზრდი) ტყე



ტყეში არსებული განეხილი გზების სივანე (4-განეხილი გზის სივანე მ-ში)




ა) მენხერი ტყე
ბ) განეხილი ტყის ნაკვეთები



ბუნქნარი ა) ცალკე მდგომი ბუნქები და ბუნქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუნქნარი (2-ბუნქნარის საშუალო სიმაღლე მ-ში)



ა) მდელი 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები




ბოსტნები



ხის ღობეები, მესერი, დობეწნულები

საბზაო ქსელი




ორლიანდაგიანი რკინიგზა

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა


ჯისურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მიდები

ნადრმაგებებში და მიწაყრილებზე გაყენილი რკინიგზები (2-ნადრმაგების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)


გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სივანე, 17-მთელი გზის სივანე ხანიდადრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა), კილომეტრატის ნიშნები. კილომეტრატის წარწერები.



გზატკეცილი
გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-სავალი ნაწილის სივანე მ-ში)




გრუნტის გზები



მინდვისა და ტყის გზები

გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული ნარგავები



ხიდების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-სავალი ნაწილის სივანე მ-ში, 5-ტვირთამწეობა ტ-ში

ხიდები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები; 2) 3-დან 13 მ-მდე


3 მ-მდე სივანის მშრალი არხები

დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 - სიმაღლე მ-ში)

ჭები (169.1 - ჭის მიწისპირა ნიშნული, 3-5 - ჭის სიღრმე წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)

წვიროები

ცალკეული ალბილობრივი ნაგებობები



მსუბუქი კონსტრუქციის ანძები

ეკლესიები

ბოძებზე დამაგრებული გადახურვები

ქარხნები

ღია ტიპის კარიერები: თიხ- მობოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში


კაშვირგაბმულობის საპერო ხაზები (სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)



ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები




ქარის წისქვილი



სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები (მრიცხველი პუნქტის ცენტრალური ნიშნული. მნიშვნელი ნაკვეთის ნიშნული)

ჰიდროგრაფია



შრობადი ნაკადები

სანაოსნო მდინარეები

ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი, ავტოტრანსპორტისთვის გაუყვალა

მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ და მეტი სივანის გამოისახება რუკის მასშტაბში

წყლის კიდის ნიშნულები

ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 10-სივანე; 1.2 - სიღრმე მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 - სიღრმე მ-ში, 10 - ფონის სიგრძე, 0.4 - დინების სიჩქარე მ/წმ

ხიდები ლითონის ერთადიანი

ხიდები ხის ერთადიანი

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აქ.	აგურის ქარხანა
ჯ	ჯისური	ქვ.	ქვიშის
რქ.	რეისი ქვა	ტბ.	ტბორი
არყ.	არეის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ.	წყარო
ნად.	ნაძვის ხე	სს	სოფლის საკრებულო
წსწ.	წყალსაქანი	მე	მყარი
თის	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ქვ.	ქვიშის კარიერი
ღ.	ღამი		

დავალება 32